სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის
საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის

ბრძანება №.....1.....

„03...“ .....02..... 2014 წ.

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში“ კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო–საატესტაციო კომისიის და კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ

„სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში“ კონკურსის ჩატარების წესისა და საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის 2014 წლის 20 იანვრის N2 ბრძანების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის და მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის „ა“, „გ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრში“ საკონკურსო–საატესტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: მზია ჯოხიძე – დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.

   კომისიის წევრები: ბესიკ გულორდავა – დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.
   სოლომონ როსტომაშვილი –ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
   ალექსი ბარათაშვილი - სამედიცინო საქმიანობის კონტროლის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
   ვახტანგ ქარაია – შიდა მონიტორინგის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
   მაკა გვარამია – ქ. თბილისის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისიის თავმჯდომარე
   გოჩა გვენეტაძე – ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
   ეთერი ყიფიანი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

კომისიის მდივანი: ნათია კუჭავა–თუთაშვილი – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

2. მძღოლების შერჩევის მიზნით, საკონკურსო–საატესტაციო კომისიის შემადგენლობას დაემატოს:

მამუკა ნიკოლაიშვილი – საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის ვიცე–პრეზიდენტი

3. **კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:**

სამდივნოს წევრები: ირმა ირემაშვილი – ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სტატისტიკის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
თეა შანყულაშვილი – საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიულ საკითხთა განყოფილების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი
ქეთევან ღვალაძე – საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი
მარიამ ლაგაზაური – ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სტატისტიკის განყოფილების სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი

4. დაევალოს კომისიის მდივანს (ნათია კუჭავა–თუთაშვილი) ბრძანების გაცნობა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის და კომისიის სამდივნოს წევრებისთვის.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრედეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

გიორგი ბუთხუზი